მომსახურების მოკლე აღწერა

შინმოვლა - საკუთარი თავის მოვლის უნარის არმქონე პირებისთვის სამედიცინო და არასამედიცინო მომსახურების მიწოდება საცხოვრებელ ადგილზე. მისი მიზანია, გაუმჯობესოს ბენეფიციართა ცხოვრების ხარისხი, კერძოდ, გახადოს ისინი ყოველდღიურ ქმედებებში შეძლებისდაგვარად დამოუკიდებელნი მათთვის ჩვეულ საცხოვრებელ პირობებში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფითა და სრულფასოვანი ცხოვრების ეთიკური ნორმების დაცვით. მომსახურების მიწოდება ხდება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით, ბიოფსიქოსოციალური მოდელით, შემთხვევის მართვის მეთოდით, მრავალდარგობრივი ჯგუფის მიერ.

შინმოვლის კომპონენტები

შინმოვლა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

შინმოვლის კომპონენტი	კომპონენტის მოკლე აღწერა	პერსონალი
სამედიცინო	- უძლურების შეფასება ბართელის სკალით - ჯანმრთელობის მდგომარეობის ზოგადი შეფასება, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, პროფილაქტიკა - სასიცოცხლო მაჩვენებლების კონტროლი - მანიპულაციები (ინექცია, ინფუზია, კათეტერის გამოცვლა და სხვა)	ექიმი, ექთანი
ძირეული მოვლა	- ჰიგიენური პროცედურები (სხეულის დაბანა, სახის მოვლა, ფრჩხილების მოვლა, მობილიზაცია, გამოყოფა) - გადაადგილება, - ჩაცმა/გახდა - კვება (საკვების მიღებაში დახმარება) - ოჯახის წევრებისთვის უნარ-ჩვევების სწავლება - რეკომენდაციების მიცემა	ექთანი/ასისტენტი

სოციალური მხარდაჭერა	- გარემოს, მდგომარეობისა და საჭიროებ(ებ)ის (მ. შ. საყოფაცხოვრებო- ტექნიკური) შეფასება - ინფორმირება - რესურსების მობილიზება - დოკუმენტაციის მოწესრიგებაში დახმარება - სხვა საჭირო მომსახურებებში/პროგრამებში რეფერირება/მიღებაში დახმარება (მაგ., დამხმარე საშუალების მოპოვება) - ადვოკატირება - მედიაცია - ფსიქოლოგიური დახმარება - განათლება, მ. შ. ოჯახის წევრების	სოციალური მუშაკი/ასისტენტი
საყოფაცხოვრებო მხარდაჭერა	- საყიდლები - ბინის/სახლის დალაგება - საკვების მომზადება - ჭურჭლის და სარეცხის გარეცხვა - ნივთების და ხელსაწყოების გამოყენებაში დახმარება	საყოფაცხოვრებო ასისტენტი
ტექნიკური დახმარება	- ბინაზე არსებული ტექნიკური პრობლემების მოგვარება (მ. შ. შესაკეთებელი სამუშაოების ჩატარება) - ფიზიკური გარემოს ადაპტაცია	ტექნიკური ასისტენტი